

ქ.ქუთაისში, ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო
გადაყვანაზე ნებართვის გაუქმების შესახებ

ქ.ქუთაისში, ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანაზე M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების N47 მარშრუტზე გაცემული ნებართვის /სანებართვო მოწმობა N102, გაცემული ქ.ქუთაისის მერის ბრძანებით N1765, 01.11.2009წ./ გაუქმების თხოვნით ქ.ქუთაისის მერს წერილობით მომართა ნებართვის მფლობელმა გადამზიდველმა შპს „იმერტრანსი XXI-ის“ დირექტორმა ბაალ სახელაშვილმა.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ და „პ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაუქმდეს ქ.ქუთაისში, ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანაზე M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების N47 მარშრუტზე შპს „იმერტრანსი XXI-ზე“ გაცემული ნებართვა /სანებართვო მოწმობა N102, გაცემული ქ.ქუთაისის მერის ბრძანებით N1765, 01.11.2009წ./

2. ქ.ქუთაისის მერიის ტრანსპორტის სამსახურმა /ვ.კლდიაშვილი/ განახორციელოს სანებართვო მოწმობის ჩაბარების კონტროლი.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე დ.ანდლულაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვალაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევდორაძე